

ტესტის სახელწოდება

D ვიტამინი (25-ჰიდროქსიქოლექალციფეროლი)

ტესტის ალტერნატიული დასახელება

25 (OH) ქოლექალციფეროლი

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

D ვიტამინი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ორგანიზმში კალციუმისა და ფოსფორის ცვლის ნორმალიზებაში. შესაბამისად, იგი აუცილებელია კბილებისა და ძვლების ფორმირებისთვის.

სისხლში D ვიტამინის ორი ფორმა შეიძლება განისაზღვროს: 25-ჰიდროქსივიტამინი D და 1,25-დიჰიდროქსივიტამინი D.

ადამიანისთვის D ვიტამინის ორი წყარო არსებობს:

ენდოგენური - კანზე მზის სხივების ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი D ვიტამინი;

ეგზოგენური - საკვების და საკვები დანამატების სახით მიღებული D ვიტამინი.

D ვიტამინის ეს ორი ტიპი ქიმიურად მცირედ განსხვავდება ერთმანეთისგან: ვიტამინი D2 - ანუ ერგოკალციფეროლი, რომელსაც ადამიანი საკვები დანამატებით გამდიდრებული საკვების და ვიტამინების ნაკრების სახით იღებს;

ვიტამინი D3 - ანუ ქოლექალციფეროლი, კანზე მზის სხივების ზემოქმედების შედეგად სინთეზირდება.

ორივე ფორმა, D2 და D3, თანაბრად ეფექტურია, როდესაც ისინი ღვიძლში და თირკმელებში აქტიურ ფორმად - 1,25-დიჰიდროქსივიტამინ D-დ გარდაიქმნებიან.

მოცემული ტესტი სისხლში 25-ჰიდროქსიქოლექალციფეროლის დონეს ადგენს.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

D ვიტამინის ტესტი ინიშნება შემდეგ შემთხვევებში:

- როდესაც ეჭვი აქვთ D ვიტამინის დეფიციტზე;
- D ვიტამინის დეფიციტის მკურნალობისას, ეს ტესტი გამოიყენება მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად;
- რაქიტის ან ოსტეომალაციისას;
- ოსტეოპოროზის მკურნალობის დაწყებამდე;
- D ვიტამინის დეფიციტის სკრინინგისთვის;
- როდესაც კალციუმის ან ფოსფორის ანალიზის პასუხები ნორმიდან გადახრას აჩვენებს;
- ფარისებრანლო ჯირკვლის დაავადებებისას;
- როდესაც ადამიანს D ვიტამინის დეფიციტის მომატებული რისკი აქვს, მაგ. ხანშიშესულები, ბავშვები, ორსულები, მეძუძური დედები

როგორ კეთდება ეს ტესტი?

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

ამ ანალიზისთვის სპეციალური მომზადება საჭირო არ არის.

შედეგების ინტერპრეტაცია

ანალიზის შედეგები აჩვენებს აქვს თუ არა ადამიანს D ვიტამინის დეფიციტი. თუმცა იმის გასარკვევად, თუ რით არის დეფიციტი გამოწვეული, საჭიროა დამატებითი კვლევები.

25-ჰიდროქსივიტამინ D-ს დაბალი დონე ხშირად მზის სხივების ნაკლებობით ან საკვების შეწოვის დარღვევით არის გამოწვეული.

1,25-დიჰიდროქსივიტამინ D-ს დაბალი დონე კი შესაძლოა თირკმელების დაავადებით იყოს განპირობებული.

1,25-დიჰიდროქსივიტამინ D-ს დონემ შეიძლება მოიმატოს პარათჰორმონის დონის მომატებისას და ასევე, სარკოიდოზის ან ზოგიერთი სახის ლიმფომის დროს.